E343
1961

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოცილა

„ოჯეფეკი, ტერფი ქვეყანა,
ალბიანე, ოყური მბინეო,
ეი ეფრე, ქონეფეკი, ოწეკეფილია
ხალხიანალი ეკაბარეფ!“

№ 7 საბჭოთა საქართველოს აკადემიის ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ კომუნისტთა ორგანიზაციის ბავშვებისთვის საბჭოს ჟურნალი

ივლისი 1961

ვაჟა-ფშაველა

26 იელისს მთელმა მსოფლიომ აღნიშნა დიდი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას დაბადების ასი წლისთავი.

ვაჟა-ფშაველას ნამდვილი სახელი და გვარი ლუკა რაზიკაშვილია. იგი დაიბადა ფშავის მთებში, სოფელ ჩარგალში. ვაჟა ბუნების წიაღში წერდა თავის შესანიშნავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებებს და შემდეგ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავდა. დიდმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა დაულოცეს მას კალამი. ვაჟას ლექსები და მოთხრობები ამშვენებდა საუმაწვილო ჟურნალებს „ჯეჯილსა“ და „ნაკადულს“. მან ნათელი, ცოცხალი სახეებით გადაგვიშალა მთელი ბუნების სამეარო.

ბავშვებო, თქვენც ხომ წაგიკითხავთ, ან მოგისმენიათ „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და ცრემლი მოგრეგიათ. რომელს არ შეგცოდებიათ ბაწაწინა ია, ქუჩი, ფესვები?! რომელს არ გიცინიათ „სათაგურსა“ და „ჩხიკვთა ქორწილზე“?! სულ ბატარა გოგო-ბიჭებიც ხომ რიხიანად ამბობთ ხოლმე ვაჟას „არწივს“. ეგელა ეს მოთხრობა თუ ლექსი დიდებულმა მწერალმა თქვენთვის დაწერა, ბატარებო!

ვაჟა-ფშაველას მშვენიერი ბოემები და მოთხრობები სიკეთესა და სიყვარულს თესავს ხალხის გულში.

მისი ეოველი სტრიქონი ადვიძებს მკითხველში სამშობლოს სიყვარულს, კეთილშობილების გრძნობასა და კაცთმოყვარეობას.

დღეს მარტო ქართველი ხალხი კი არა, მთელი კაცობრიობა კითხულობს ვაჟას უკვდავ ნაწარმოებებს ადამიანთა ძმობასა და მეგობრობაზე.

ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი ჩარგალში

ნახატი ვ. ჯაფარიძისა

ვაჟა-ფშაველა

კიდევაც ვნახავ გაზაფხულს,
ყელმოღერებულს იასა,
ამწვანებულსა მთა-ბარსა
დამწყაზრულს, ყვავიღიანსა.

აღარვინ იტანჯებოდეს
და აღარვისა შიოდეს;
მეც მას ბანს ვეუბნებოდე,
გული აღარა მტკიოდეს.

ფერადი ბუფეტები

ეი, რა მიამბო ერთხელ მამამ:

ჰატარა ვიუაი, როცა ჰირველად ვნახე ჩვენი საუკარელი მწერალი ვაჟა-ფშაველა.

ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს ვაჟა ოჯახში გვესტუმრა. მე მას მოკრძალებით შევუურებდი, რადგან საამაუო ჰოეტზე ბევრი რამ გამეგონა და მისი ლექსებიც ზეპირად ვიცოდი.

ახლაც კარგად მახსოვს ჩოხა-ახალოხში გამოწუობილი ვაჟა, შეფერცხლილი წვერით, ვაკკაცური შეხედულებით, რომელსაც ქამარზე უშველებელი ხანჯალი ეკიდა.

ვაჟა მომიახლოვდა, თავზე ხელი გადამისვა და მამაჩემს ჰკითხა:

— ეს შენი ვაკკაცია, ვანო? რამოდენა ბიჭი ვეოლია, ნამდვილი ეარამან ეათილია!

ნახატი ზ. ქაპანაძისა

ალბათ მე ძალიან სასაცილოდ ვიეაკი აბუზული, რომ ეველამ გადაიხარხარა. ვაკამ ხელი დამაკლო, წიწილასაკით ამიტაცა, მაგიდასთან დაჯდა და მეც მუხლზე დამისვა.

როცა სუფრიდან წამოდგნენ და მუშტაიდის ბაღში გასეირნება გადაწყვიტეს, ვაკამ მეც ამიდევნა. ერთ ხელში ფერადი ბუშტი მეჭირა, მეორე კი ძია ვაკასთვის მქონდა ჩაკიდებული და ასე დავსეირნობდით ბაღში.

ბოლოს მტკვრის ჰირას სკამზე ჩამოვსხედით.

— ვაკა, შენი ლექსები ჩემმა შვილმა სულ ზეპირად იცის,—მიმართა კვეხნით მამაჩემმა და მანიშნა: „აბა, ივაკაცეო“.

მეც ბევრი არ დაკაეოვნე, შევდექი სკამზე და დავიწეე:

არწიეი ენახე დაჭრილი,
ეკავ-ეორნებს ეომებოდა.
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ვეღარა დგებოდა...
ვაჰ! დედას თქვენსა, ეოვებო...

ეოქვი ესა, ხელით ეკაკებს დავემუქრე და უცებ აკდრიალდი. თურმე ფერადი ბუშტი ხელიდან გამშვებოდა და ჰაერში ტაატით მიფრინავდა. ჩემი გაჩუმება არც ისე ადვილი საქმე გამოდგა.

ძია ვაკა სადღაც წავიდა, ცოტა ხნის შემდეგ ორი ფერადი ბუშტი მომიტანა, ქამარზე დაძიმაგრა და მითხრა:

— აბა, გენაცვალე, ნუდარ ტირი, სკამზე მაგრა დაჯექი, თორემ ესენი ჰაერში წაკიღებენ!—მანიშნა მან ბუშტებზე.

მეც გავჩუმდი, ძია ვაკას ხელი მაგრად ჩავჭიდე და სლუკუნით შევცქეროდი ნიავისაკან ჰაერში მოფარფატე ბუშტებს.

რ. რეისპირელი



ვაჟა-ფშაველა

მერცხლის სიმღერა

დავჩეკე წვრილი ბარტყები,
დამეზრდებიან მაღეო;
იფრენენ, იჭიკჭიკებენ
ღაღად ღესა თუ ხვაღეო.

კატავ, შე ამოსაგდებო,
ცოტა ხანს დამაცადეო!
რა გინდა? რას მეპარები!
დედა ვარ, შემიბრაღეო!

ნახატი **შ. ცხადაძისა**

ვაჟა-ფშაველა

ობოლი ბარტყები

დაობღებული ბარტყები
უდედობასა ტირიან,
ბუდიდან გადმოცვივიან,
გულისაკ�lavad წივიან.

დაბღა მიწაზე ბღორტავენ
გინგღიანები, წვრილები,
პირებს აღებენ საჭმღისად
ნიბღია-ჩიტის შვილები.

თითონ ვერც საჭმელს ჰპოობენ,
არცა ჩვეულან ფრენასა.
მარტო ერთს თავის ვაებას
ათქმევინებენ ენასა.

გულის მომწყვლელი წრიპინით
ფრინველთ უხმობენ სმენასა...
გულუბრყვილონი... იმათთვის
ვინ მოინდომებს შველასა!..

საკუთარი ჰყავ შვილები
ნადირს და ფრინველს ყველასა;
ჯერ არც იცნობენ საწყლები
თავის მუხანათს მელასა.

ნახატები ბ. ფოცხიშვილისა

ია

ვაჟა-ფშაველა

(ნაწყვეტი)

ულრანს ტყეში მოსული ვარ... მანამ ცო-
ცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკბობ
ტყეს, ბალახს და იმ გალმიდამ გამომცქე-
რალს გულხვესიანს კლდესა. სუნნელებას მი-
ვაფრქევ არემარეს. ყველას ვუყვარვარ: აგერ
იმ დამშალ ყუნწს თვალი სულ ჩემსკენ უჭი-
რავს, მიცინის ხოლმე, უნდა ჩემთან მოვი-
დეს,—მაკოცოს, მაგრამ არ შეუძლიან, მხო-
ლოდ შორიდამ გამიცინებს, გაიმიგება ა-
ცოლავი, თუმცა უშნოდ, მაგრამ გულკეთი-
ლობა კი დიდი გადაფფინება ხოლმე პირზედ.
განა მარტო იმას უხარიან ჩემი სიცოცხ-
ლე? წვერხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევი-
დამ, თვითონ თავშიშველნი, ტოტებს მე მ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფარებენ: ჩვენს იას არ შეგვიცივდეს, ან არა-
ფერმა არ აწყინოსო. პირდაპირ ზხაპუნა
წვიმას არ უშვებენ ჩვენამდის: წვიმას შეუ-
ძლიან ერთბაშად ჩამომაცალოს ფოთლები.
უფოთლებოდ ყოფნა და სიკვდილი ჩვენთვის
ერთია. არა, ხეები: არყი, წიფელი, თხილი,
თამელი, დეღვეულა გარშემო მეხვევიან და
მყარაულობენ, წვიმის ნაპს ინახავენ ტოტე-
ბით, ფოთლებით და მერე ნელ-ნელა მამ-
ცარეენ პირზედ თითო-ოროლა ნამობით,
პირსა მბანენ. მე ყელს მოვიღერებ და ვი-
ნატრებ, ნეტა სიმდერა ნიუი მოეცა, რომ
დამბადებელს ჩემთვის ნიუი მოეცა, მზე. ეს ჩემი
მეტრ მაღლა ცა და ლრუბელი, ის ჭალები და
მფარველი ხეები, რომელნიც ხმელს, ყვითელს
ლაბუა ჩიტები, ფრთებს ფრთაბუშ-
ფოთლებში წითლის და მწვანის
ბულით ჩემს წინ დაგოგვენ და ხანდახან შე-
მომეკაკეკენენ პირში, მათამაშებენ, უხა-
რიანთ ჩემი სიცოცხლე. ჩემი ერთის სიცო-
სიცოცხლე სხვის ოცდაოთხის თვის სიცო-
ცხლეს სჯობია, მაგრამ დიდხანს სიცოცხლეს
კი დანატრებული ვარ. დილას ერთმა „წიფ-
ლისჩიტამ“ ჩემს ახლოს იგალობა, ლამაზი
რამ იყო,—ყელწითელი, ლაბუა; იმასაც ჩემ-
საკით თავი მოსწონდა, იხედებოდა ბულ-
ზედ და მხრებზედ; ყველას მოსწონს თავი,
ყველას უხარიან სიცოცხლე, ყველას უყ-
ვარს ბუნება.

ბუშინ ცამ იტეკა. ჭეკა-ქუხილი ჩვენ არ
გვაშინებს: ქუხილი წვიმის მომასწავებელია
და წვიმა ხომ ძუძუს გვაწოვებს დედამიწის
ბულზე. მზე—მამაა, ზეციდან დაგვყურებს
და გვეალერსება.



მესაზღვრე

ბ. კაკიბაძე

ბადაუღებლად წვიმდა სასაზღვრო სოფელში.

შუაღამე გადასული იყო, როცა პატარა ნურიმ საგუშაგო რაზმის ხელმძღვანელს ბინაზე დაუკაკუნა.

მალე ოთახში სინათლე აინთო, კარიც აჭრიალდა...

— რომელი ხარ? — გაეხმაურა საგუშაგო რაზმის ხელმძღვანელი.

— მე ვარ, ნური.

— რამ მოგიყვანა ამ წვიმაში?—გაოცებით ჰკითხა მასპინძელმა. სირბილით დაღლილი ბიჭი ოთახში შეიყვანა და ტახტზე ჩამოსვა.

—ჩვენთან უცხო კაცები მოსულან გვიან,— დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად ნურიმ,—მე და თამრიკოს გვეძინა. ხმაურმა გამაღვიძა. მამა შინ არ იყო. ავდექი და კარებში შევიქვრიტე.

—ნუ გეშინიათო,—თქვა ერთმა,—მე ექიმი ვარ სარფიდან, ეს კი ჩემი მეგობარია. ავადმყოფთან ვიყავით გონიოში და შემოგვაღამდა. საშინლად წვიმს, თავი შემოგაფარეთო...

— ნურაფერზე შეწუხდებით, მოხუცო, ჩვენ მხოლოდ ღამეს გავათევთ და გათენებამდე წავალთო,—დასძინა მეორემ.

— სტუმარი ღვთისაა,—უთხრა მათ ბებიამ და ბუხარში ცეცხლს შეუკეთა...

დავაკვირდი სტუმრებს. სარფელ ექიმს ნოდარს მე კარგად ვიცნობ; სტუმრების სიმართლეში დავეჭვდი. მამის სიტყვები მომაგონდა,— ასე დაგვიბარა: „უცხო კაცს ღამეს ნუ გაათევინებთ, საზღვრის პირას ვცხოვრობთ და არავინ შემოგვეპაროსო“.

ფეხაკრეფით გამოვედი აივანზე, სვეტზე ჩამოვცოცდი და თქვენსკენ გამოვიქეცი.

— ყოჩაღ, ნური, კარგად მოქცეულხარ,— უთხრა დავითმა და წასასვლელად მოემზადა. ბიჭი მეუღლეს ჩააბარა, თვითონ კი ღამის წყვდიადში გაუჩინარდა.

სასაზღვრე

შორს მკრთალად მოჩანდა მესაზღვრეთა საგუშაგოდან გამოსული სინათლე.

ნურის ბინაზე უცხო კაცების სტუმრობამ შეაშფოთა მესაზღვრეები. სასწრაფოდ წავიდნენ და ნურის „სტუმრები“ დააპატიმრეს...

—მიშველეთ, მომეხმარეთ,—იძახდა გაოგნებული ნურის ბებია და სანათით ხელში ოთახიდან ოთახში დარბოდა.

— ვის ეძებთ?—ჰკითხა დავითმა.

— ნური დაიკარგა.

— ნურაფრის გეშინიათ, ჩემთანაა, ნურის რომ არ ეყოჩაღა, გაგვეპარებოდნენ ეს არამზადები,— თქვა დავითმა.

გათენებისას დაბრუნდა შინ დავითი. ყველას ეძინა, მხოლოდ ნური აბრიალებდა ღამენათევ თვალებს.

დავითმა პატარა ბიჭი გულზე მიიკრა.

— თამრიკო როგორ არის, ხომ არ შეეშინდა?—ჰკითხა ნურიმ.

— თამრიკოს მშვიდად სძინავს, რისი უნდა ეშინოდეს. გულადი ძმა ჰყავს,—ჩაიცინა დავითმა და ნურისაც ღიმილი მოეფინა სახეზე.

ნახატი ზ. ქაჯანაძისა

სკამი

ა. არმილაევა

დედამ ლიას პატარა სკამი შეუდა. ეს სკამი საკუთრად ლიასია, მარტო თვითონ დაჯდება ზედ, სხვას არავის დასვამს, არც ძმას, არც დიკოს. ფიფოსაც კი არ მისცემს ნებას, რომ მის სკამზე ავიდეს და მოიკლათოს.

სალამოს ლიას მამა დაღლილი დაბრუნდა სამუშაოდან. გაოფლიანებული შუბლი ხელსახოცით მოიწმინდა და თქვა: „უჰ, როგორ დაღალეო“.

მაშინ ლიამ მაშას თაკისი ახალი სკამი მიურბენინა და ეთხრა:

— დაჯექი, მამა, დაღლილი ხარ და მოისვენე!

ნახატი ბ. რეინგოლდისა

ეს ი
ილუ
მოებებისა
აბა, გ
შენ თუ
გიამბონ.

ილუსტრაციები დახატულია დიდი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას ნაწარ-
ებისათვის.
გაიხსენე, ვაჟას რომელი მოთხრობები დაუსურათებია მხატვარ ი. გაბაშვილს.
თუ არ წაგიკითხავს, სთხოვე უფროსებს, ამ სამივე მოთხრობის შინაარსი

მურიკა

ნ. ალნიაშვილი ნახატები ლ. დანელიასი

მამუკა ზღვის სანაპიროზე წაიყვანეს დასასვენებლად. სწორედ იქ დამეგობრდნენ მამუკა და მურია.

მურია აგარაკის პატრონის ძაღლია. იგი ერთი წუთითაც არ სცილდება მამუკას. როცა ბიჭი ზღვის კენჭებს აგროვებს, მურიკა იქვე მზეს ეფიცხება და თვალყურს ადევნებს მას; ხოლო თუ მამუკა წყალში შესვლას მოინდომებს, მურიკა ფეხდაფეხ მიჰყვება და იწყება ერთი ჟუმპალაობა. მოახტება ბიჭი თავის რაშს მურიკას და ჰერიი!.. „მიარღვევენ“ ზღვის ტალღებს.

მურიკა კეთილი ძაღლია, მას დიდი ბომბორა კუდი და მუდამ ცივი, სველი ცხვირი აქვს. ის ყველაფერს უთმობს ცეროდენა ბიჭს, რომელიც გემრიელი საჭმელებით უმასპინძლდება ხოლმე.

აბა, თუ ბიჭია, ვინმემ რამე გაუბედოს მამუკას! ზღვა რომ ზღვაა, იმასაც შეებმება მურიკა თავის პატარა მეგობრის გულისათვის.

მაგრამ ერთ დღეს მათი მეგობრობა დაირღვა და დამნაშავე სასაცილოდ შეღებილი და კუდაპრეხილი რეზინის ძაღლი გამოდგა. აი, ისეთი, რომ გაბერავენ ხოლმე და ზღვაში შეაცურებენ პატარა ბიჭები. სწორედ ასეთი რეზინის ძაღლი ჩამოუტანა მამუკას მამამ ქალაქიდან. ჰოდა, ის დღე იყო და ის დღე, მამუკამ გული აიცრუა მურიკაზე.

ზღვაში ხომ რეზინის ძაღლთან ერთად ჟუმპალაობდა, ნაპირზედაც გვერდიდან აღარ იშორებდა.

აი, ახლაც მეზობლის ბიჭებს ამაყად უჩვენებდა, როგორ იბერებოდა და როგორ ივსებოდა ჰაერით რეზინის ძაღლი; აღარ ახსენდებოდა მურია, რომელიც იქვე სილაზე იწვა, თავი წინა თათებში ჩაერგო და თვლემდა; თან ცალი თვალით მამუკასაკენ იყურებოდა, იქნებ გული მოიბრუნოს ჩემზე, იქნებ დამიძახოსო.

გული სწყდებოდა მურიკას, მაგრამ ვის ესმოდა მისი წუხილი.

ნამდვილი ძაღლი რომ იყოს, კიდევ ჰო. ამას არც სიარული შეუძლია, არც ყეფა, მუდამ ხელით სათრევია. რა ძაღლად ჩასათვლელი ეს არის, მეზობლიანთ საცოდავ ციხდალსაც ვერ დააფრთხობს. ნეტავ რამ შეაყვარა მამუკას ეგ უშნოდ გაბერილი გუდა,— ფიქრობდა მურიკა.

მამუკა თავის ახალ მეგობართან ერთად ზღვაში ჟუმპალაობდა, დედამისი იქვე შორიახლო იჯდა.

უცებ ზღვიდან მამუკას ყვირილი მოისმა... მურიკა თვალის დახამხამებაში ბიჭთან გაჩნდა, საბანაო კოსტუმში კბილები ჩაავლო და ნაპირზე გამოიყვანა. როცა მამუკა დედის მკლავებში დაინახა, კვლავ ზღვაში შევიდა, ნაპირთან ახლოს მოტივტივე საცოდავად დაჩუტული რეზინის ძაღლიც გამოიტანა და მამუკას ფეხებთან ნადავლივით დააგდო.

ცყეში

რ. ჩაჩანიძე ნახატები შ. ცხადაძისა

ცყვი კნაწუნა ძველი მუხის ფუღუროში მარტოდმარტო ცხოვრობდა. ედგა თხილით სავსე ბეღელი და არაფრის დარდი არ აწუხებდა. მთელ ტყეში მხოლოდ მან იცოდა, სად იყო თხილის ყველაზე მეტი ბუჩქი.

ერთხელ ბიძაშვილმა რუხიამ კნაწუნას უთხრა:

— ბიძაშვილო, იქნებ მეც მაჩვენო ის შენი საიდუმლო ადგილი. იქ ალბათ ძალიან ბევრი თხილია, შენც გეყოფა და მეც.

კნაწუნამ წინა თათები უდარდელად გაიქნია:

— აი, სულელი, იმ ადგილს როგორ მიგასწავლი?!

კნაწუნას არც მოწყალების გაცემა უყვარდა და არც გასესხება. რუხია სულ სხვა იყო. მართალია, დიდი ოჯახი ჰქონდა და ცხოვრება უჭირდა, მაგრამ თუ რამე გააჩნდა, არავის არაფერს დაუჭერდა.

იმ დილით კნაწუნა ციყვი სადალაქოში გახლდათ. მელაკუდა დალაქმა საგულდაგულოდ შეუსწორა ულვაშები. შინ დაბრუნებული კნაწუნა ჰაერში კოხტად გადატრიალდა და ფუღუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როში ჩახტა. იქვე, იმავე ხის ძირში დათუნია ცხოვრობდა.

უეცრად ტყე მიჩუმდა, ყველამ იგრძნო, საიდანლაც საფრთხე ახლოვდებოდა.

პირველად დალაქმა მელაკუდამ დაინახა მომავალნი. მან მეტყევე გიგია მაშინვე იცნო, მისი ბიჭი ლევანაც იცნო, მაგრამ ის ორი კი, თითოეულს მხარზე გრძელტარიანი ცული რომ გაედო, ვერ იქნა და ვერ გაიხსენა.

ოთხმა ადამიანმა ისე ჩაიარა სადალაქოსთან, რომ ეკალ-ბარდებში ჩადგმული სადალაქო ვერ შენიშნა. რასაკვირველია, მათ ვერც შეშინებული მელაკუდა დაინახეს. ადამიანები ხმამაღალი საუბრით სწორედ იმ ბებერ მუხასთან შეჩერდნენ.

— აი, ეს მოვჭრათ, თითქმის დამპალია,— ჩაილაპარაკა მეტყევემ და ტყეში წამსვე გაისმა:—ტუკ-ტუკ, ტუკ-ტუკ...

რუხია ციყვმა ფუღუროდან გადმოიხედა და შეშინებულმა წამოიძახა: «დავიღუპეთ, ჩემს ბიძაშვილს სახლს უნგრევენო». მელაკუდა დალაქს რატომღაც ახლა ეტკინა შარშან მეტყევის ხაფანგში მიჯეჯგვილი უკანა ფეხი. ბურდღუნა დათუნა და ციყვი კნაწუნა კი არხეინად ხვრინავდნენ.

ციყვი კნაწუნა, როგორც იქნა, გამოერკვა, ერთი ისკუპა და სადალაქოს თავზე შეხტა.

— აი, ნამდვილი რეგვენი,— წამოიძახა დაფეთებულმა მელაკუდამ,— თვითონ იღუპება და იღუპება, მე რაღას მერჩის, რაღა მაინცადამაინც ჩემი სადალაქო აირჩია ქანდარაზე წამოსასკუპებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც და ხის მჭრელები ციყვის დასაჭერად სადალაქოსაკენ გაქანდნენ. ის იყო მელაკუდამაც აიკეცა თავისი ბობოხა კუდი და კარში უნდა გამხტარიყო, რომ ერთბაშად მთელი ტყე შეიძრა. ბოლოს და ბოლოს ბურდღუნა დათუნიამაც გაიღვიძა და უზარმაზარი შავი ბურთივით გამოგორდა ბუნაგიდან. ორ ფეხზე შედგა და ისეთი ღრიალი მორთო, რომ ხის მჭრელები ფაცხაფუცხით გაიქცნენ. დათუნიამ თვალები მოიფშვნიტა, დაამთქნარა და უკმაყოფილოდ გადახედა თავის დაქცეულ ბინას.

— დავიღუპეთ, მეზობელო, დავიღუპეთ!— შესჩივლა ციყვმა დათუნიას.

— კიდევ კარგი, რომ შენნაირი მეზობლის გადამკიდეს წაქცეულ სახლში კი არა, მეტყევის გავარვარებულ ბუხარში არ გამეღვიძა. აი, სეირი მაშინ იქნებოდა,—თქვა ბურდღუნამ და გზას გაუდგა. კნაწუნა კი დარჩა სადალაქოს თავზე და შიშისაგან კანკალებდა.

გონს მოსული რუხია ფუღუროდან ამოძვრა, ჯერ მიდამო კარგად შეათვალიერა და, როცა დარწმუნდა, საფრთხე არ მომელისო, ხმამაღლა დაიძახა:

— აქეთ მოდი, ბიძაშვილო, აქეთ! ჩემს ქოხში შენთვისაც გამოინახება ადგილი.

კნაწუნა ციყვი ბიძაშვილის ფუღუროსთან სკუპ-სკუპით მივიდა, სახლში თავი შეჰყო და ნაღვლიანად თქვა:

— ცუდი დღე გამითენდა, ბიძაშვილო, იქნებ შევძლოთ და ჩემი თხილი თქვენთან გადმოვიტანოთ.

— ნუ დარდობ, ჩემო კარგო, ცოტაოდენი თხილი ჩვენცა გვაქვს, იქამდე გავჭიმოთ ფეხი, სანამდეც საბანი გაგვწვდება,—ღიმილით თქვა რუხია ციყვმა და თავის ხარბ ნათესავს შინ შეუძღვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პინოქიოს თავგადასავალი

კოლოდი

ნახატები დ. სახუგაშვილისა

ოდა, ბავშვებო, იმ დროს, როცა უდანაშაულო ჯეპეტო ციხეში ჩასვეს, თავხედი ბიჭი პინოქიო პოლიციელის კლანჭებს გამოექცა და შინისაკენ მოჰკურცხლა. თხასავით ახტებოდა ბორცვებსა და ეკლიან ბარდებს, გეგონებოდათ, ვინმე მოსდევსო. სახლში შევარდა, კარი გადარაზა და იატაკზე დაეპერტყა. უცებ კუთხეში რაღაც ჭრიჭინი შემოესმა, პინოქიო მიბრუნდა და დიდი ჭრიჭინა დაინახა.

— ვინა ხარ, ძმობილო?—ჰკითხა პინოქიომ.

— მე მოლაპარაკე ჭრიჭინა ვარ, ას წელზე მეტია, ამ ოთახში ვცხოვრობ.

— ახლა ეს უკვე ჩემი ოთახია,—უთხრა ხის კაცუნამ,—კეთილი ინებე და აქედან მოუსვი!

— ვიდრე ჭკუას არ დაგარიგებ, არსადაც არ წავალ,—შეეპასუხა ჭრიჭინა,—იცოდე, ვინც მშობლებს არ გაუგონებს და შინიდან გაიქცევა, ადრე თუ გვიან მწარედ ინანებს.

— შენ რამდენიც გინდა, იჭრიჭინე, მე კი ვიცი, რომ ხვალ ამ არემარეზე ვეღარავინ მნახავს. აქ რომ დავრჩე, სხვა ბავშვებივით სკოლაში მიმაბარებენ და ჩამაცივდებიან, გინდა თუ არა, ისწავლეო. ჩვენ შორის დარჩეს და, არაფრად მეპიტნავება სწავლა.

— კარგი, არ გინდა სკოლაში სიარული და ნუ გინდა, მაგრამ რაიმე ხელობა მაინც ისწავლე, რომ ლუკმა-პური იშოვო!

— გითხრა, რატომ არ მინდა ხელობის სწავლა?—უპასუხა პინოქიომ,—იმიტომ, რომ ამ ქვეყნად მარტო ერთი ხელობა მომწონს: ჭამა, სმა, ძილი, მოსვენება და დილიდან საღამომდე ხეტიალი.

— საწყალო პინოქიო, ნამდვილად მეცოდები, რადგან ხის კაცუნა ხარ და უფრო მეტიც—ხის თავი გაბია!



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჯავრებულმა ბიჭმა ჭრიჭინას ჩაქუჩი ესროლა და ისიც გაჩუმდა.

დღამდა. პინოქიოს გაახსენდა, რომ დღეს ლუკმა არ ჩაუდვია პირში. მთელი ოთახი გადაატრიალა, იქნებ სადმე გამხმარი პურის ნატეხი მაინც ვიპოვნოო, მაგრამ ვერაფერი ნახა. უცებ ნაგვის გროვაში რალაც თეთრი და მრგვალი შენიშნა. ქათმის კვერცხს წააგავდა. გახარებულმა პინოქიომ ტაფა გაიცხელა და ჭახ!—გატეხა ნაჭუჭი. მაგრამ გულისა და ცილის მაგიერ კვერცხიდან ყვითელლინლლიანი წიწილა გადმოხტა, ფრთები გაშალა და ღია ფანჯარაში გაუჩინარდა. საწყალი ხის კაცუნა კი ნაჭუჭით ხელში ხახამშრალი დარჩა.

გარეთ ზამთრის ცივი ღამე იყო. პინოქიოს *ძალზე ეშინოდა ქარის* ზუზუნის, მაგრამ შიმშილი შიშზე უარესი გამოდგა. მან გადაწყვიტა, მეზობელ სოფლისაკენ მოეკურცხლა, იქნებ ვინმე მადლიანმა ერთი ლუკმა პური გამომიწოდოსო. მშიერი, ილაჯგაწყვეტილი პინოქიო ერთ სახლს მიადგა და კარზე მიუკაკუნა. ფანჯარაში მოხუცი გამოჩნდა.

— ამ უდროო დროს რომელი ხარ?—იკითხა გაჯავრებით.

— მოიღეთ მოწყალება, ერთი ლუკმა პური გაიმეტეთ!

მოხუცმა იფიქრა, ეს ალბათ ვინმე თავზეხელაღებული მაწანწალაა, პატიოსან ადამიანებს ძილს რომ უფრთხობსო, და დაუყვირა:

— აბა, ფანჯრის ქვეშ დადექი და ქუდი გამომიშვირე!

პინოქიომ დაუფიქრებლად გაუწოდა ქუდი. ფანჯრიდან წყლის ნიაღვარი წამოვიდა და ჩვენი პინოქიო სულ მთლად გაწუწა. წიწილასავით გალუმპული ბიჭი ძლივს მილასლასდა შინ. ჩაჯდა სავარძელში და გაყინული, ჭუჭყიანი ფეხები გავარვარებულ ტაფაზე დაიწყო, ასე ჩაეძინა. პინოქიოს ხის ფეხებს ცეცხლი წაეკიდა, აბრიალდა და ბოლოს ნაცრად იქცა. მას კი ისე ეძინა, თითქოს სხვისი ფეხები ჰქონოდა.

განთიადისას კარზე კაკუნმა გაალვიძა.

— რომელი ხარ?—იკითხა თვალების ფშვნეტით.

— მე ვარ,—უპასუხა ვილაცამ.

ეს ჯეპეტოს ხმა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწყალი პინოქიო ჯერ კარგად გამოფხიზლებული არც იყო და ამიტომ ვერ შენიშნა, რომ ფეხები დასწვოდა. მამის ხმა გაიგონა თუ არა, წამოხტა, მაგრამ ორი-სამი ნაბიჯის შემდეგ იატაკზე ისეთი ხმაურით ჩაიკეცა, გეგონებოდათ, მეხუთე სართულიდან ხის კოვზებით სავსე ტომარა ჩამოვარდაო.

— გამიღე!—ყვიროდა ქუჩიდან ჯეპეტო.

— დამიჯერე, მამილო, ფეხზე დადგომა არ შემიძლია! ოჰ, რომ იცოდე, რა უბედური ვარ! მთელი სიცოცხლე უნდა ვიხოხო...

ჯეპეტომ იფიქრა, ეს ამბავიც ხის კაცუნას მორიგი ინიციატივაო, ოთახში ფანჯრიდან გადახტა და დაატირა, იმ ტუტუცისათვის ქკუა ესწავლებინა. მაგრამ როცა თავისი პინოქიო იატაკზე გაშლილარ-თული და ნამდვილად უფეხო დაინახა, საოცრად შეებრალა. ბიჭუნა ხელში აიყვანა, შემოეხვია და ათი ათასჯერ აკოცა.

— ჩემო შვილიკო, ფეხების მოწვა როგორ მოახერხე?

პინოქიომ ტირილითა და ზლუქუნით უამბო თავისი თავგადასავალი. ჯეპეტომ მხოლოდ ის გაიგო, რომ ხის კაცუნა შიმშილით კვდებოდა. ჯიბიდან სამი მსხალი ამოიღო და პინოქიოს გაუწოდა-

— ეს სამი მსხალი ჩემი საუზმეა, ჭამე, შეგერგოს!

— თუ გინდათ, რომ შევჭამო, გამითალეთ, გეთაყვა!

— გაგითალო?—ჰკითხა გაოცებულმა ჯეპეტომ,—არ მეგონა, ჩემო ბიჭუნა, თუ ასეთი განაზებული და წუნია იყავი. ამ ქვეყნად ყველაფერს უნდა მიეჩვიო, კაცს რა არ შეხვდება!

კეთილმა ჯეპეტომ დანა მაინც ამოიღო, მსხლები გაუთალა და ნათალი მაგიდაზე დააწყო. პინოქიომ შეჭამა, უფრო უკეთ, შესანსლა სამივე მსხალი, მერე ტკბილად დაამთქნარა და დაიწუწუნა:

— კიდევ მშია!

— ჩემო ბიჭუნა, მეტი არაფერი გვაქვს. მარტო ეს მსხლის კანილა დაგვრჩა.

— რა უშავს,—თქვა პინოქიომ,—თუ მეტი არაფერია, მაგასაც სიამოვნებით შევჭამ.

ხის კაცუნამ როგორც კი შიმშილი მოიკლა, ისევ მოჰყვა წუწუნსა და ტირილს: ახალი ფეხები მინდაო.

— რისთვის გაგიკეთო ახალი ფეხები?—უთხრა ჯეპეტომ,—რომ ისევ გამექცე შინიდან?

— არა, მამილო, გპირდები, რომ ხელობას ვისწავლი და მოხუცებულობის დროს შეგეშველები.

ჯეპეტოს გული მოულბა, ხელსაწყოები და ორი შეშის ღერი აიღო და მუშაობას შეუდგა.

ერთ საათში ფეხები მზად იყო.

— ახლა დახუქე თვალი და დაიძინე!—უთხრა ჯეპეტომ.

როგორც კი პინოქიომ დაიძინა, ჯეპეტომ ისე ფაქიზად მიაწება ფეხები, რომ ვერც შეატყობდით, სად იყო გადაბმული.

პინოქიომ იგრძნო, რომ ახალი ფეხები მოება, სიხარულით წამოხტა და შეხტა-შემოტრიალდა.

— დიდი მადლობა, მამილო,—უთხრა მან ჯეპეტოს, —ახლა სკოლაშიც ვიარ. მაგრამ ტანსაცმელი რომ არა მაქვს!

ჯეპეტო ძალიან ღარიბი იყო. რა ექნა? ქაღალდისაგან ტანსაცმელი გამოუჭრა პინოქიოს, ხის ქერქისაგან—წაღები და. ჰურის გულისაგან ქუდი დაახურა. პინოქიო გაიქცა და წყლით სავსე ჯამში ჩაიხედა, ვითომ სარკეაო. მოეწონა თავისი თავი და აღტაცებით შესძახა:

— ნამდვილი სინიორი ვარ! მაგრამ სკოლაში მაინც ვერ წავალ, ანბანი რომ არა მაქვს?!

ჯეპეტო ჩაფიქრდა, მერე ფეხზე წამოიჭრა, თავისი ძველი, დაკერებული ხავერდის ქურთუკი გაიხადა და შინდან გავიდა. მალე პერანგისამარა დაბრუნდა საწყალი მოხუცი. ქურთუკი აღარ ჰქონდა. სამაგიეროდ ანბანი მოუტანა პინოქიოს. გარეთ კი თოვდა. ბიჭი მიხვდა მამის გულკეთილობას, თავი ვეღარ შეიკავა, მოხუცს კისერზე ჩამოეკიდა და გადაჰკოცნა.

როგორც კი თოვამ გადაიღო, პინოქიომ ახალი ანბანი იღლიაში ამოიდო და სკოლაში წავიდა. გზაზე ათას რამეს ფიქრობდა:

—დღეს სკოლაში კითხვას ვისწავლი, ხვალ—წერას, ზეგ—თვლას. მერე ბევრ ფულს ვიშოვი და პირველ რიგში ჩემს მამილოს მაუდის ლამაზ ქურთუკს ვუყიდი. რის მაუდის?! სულ ოქროსი და ვერცხლისა უნდა იყოს და ძვირფასი თვლები ღილებად ეკეროს. ახლა იგი პერანგისამარა დადის, მე კი წიგნი მიყიდა და სკოლაში გამიშვა.

უცებ ფლეიტისა და დოლის ხმა მოესმა: „ბუმ-ბუმ, წიუ-წიუ!!!“

— მოდი, დღეს მუსიკას მოვუსმენ, სკოლაში კი ხვალ წავალ,—გადაწყვიტა პინოქიომ და ერთ პატარა ბიჭს შეეკითხა:—აქ რა ამბავია?

— რა ამბავია და თოჯინების თეატრია.

— წარმოდგენა უკვე დაიწყო?

— არა, სადაცაა დაიწყება.

— რა ღირს შესვლა?

— ოთხი სოლდო.

პინოქიოს ძალიან მოუნდა წარმოდგენის ნახვა.

— ოთხ სოლდოდ ჩემს ქურთუკს მოგყიდი,— შეეხვეწა ხის კაცუნა პატარა ბიჭს.

— რად მინდა შენი ქაღალდის ქურთუკი? წვიმაში რომ მოვყვე, ზედ აღარ შემრჩება.

— ჩაჩიც არ გინდა?

— ეგ ხომ პურის ქერქისაგან არის გაკეთებული. თაგვები დამესევიან თავზე.

— ისე გატყობ, ვერც ანბანში გაიმეტებ ოთხ სოლდოს?—უთხრა ბოლოს.

— მე ვიყიდი!—შესძახა გვერდით მდგომმა ბიჭმა.

პინოქიომ ბილეთი იყიდა და თეატრში შევიდა.

ამ დროს კი საწყალი ჯეპეტო პერანგისამარა სიცივისაგან კანკალებდა, რადგან თავისი ერთადერთი ქურთუკი ანბანში გადაცვალა.

იტალიურიდან თარგმნა ლ. ერაძემ

6/01/2018

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვაზე

ა. ფაბაფაძე

ნახატი ბ. როინიშვილისა

ერთ კვირაზე მეტია
გია ზღვაზე ისვენებს,
მაგრამ წყალში არ ჩადის,
ფეხსაც კი არ ისველებს.

ბებიას კი წერილს სწერს
მართლაც რომ დიდაცურად:
„შუა ზღვაში შევდივარ
და თევზივით დაცურავ“.

ყდის მხატვრობა ეკუთვნის ბ. თოთიბაძეს

რედაქტორი ი ო ს ე ბ ნ ო ე შ ვ ი ლ ი. სარედაქციო კოლეგია: ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, კ. გ ო გ ი ა შ ვ ი ლ ი, მ ა ყ ვ ა ლ ა მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი (რედაქტორის მოადგილე), ი. ს ი ხ ა რ ულ ი ძ ე, ნ. უ ნ ა ფ ე ო შ ვ ი ლ ი, შ. ც ხ ა დ ა ძ ე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამეთოთხმეტე წელი

ფასი 20 კაპ.

ტექ. რედაქტორი ი. ა რ დ ი შ ვ ი ლ ი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

გამომცემლობა „ნაკადული“, რედაქციის მისამართი: თბილისი, მელიქიშვილის ქუჩა. 91, ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 241, სტამბის შეკვ. №1683 ტირაჟი 21500

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VII 1961 წ.

ჟურნალი დაბეჭდილია ლენინ-ოქტომბერის ბეჭდვის ფაბრიკაში

Д И Л А—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина № 7 июль, 1961 г. Тбилиси, просп. Плеханова 91.